

შპს ფუდჯორჯია 2022

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის
2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

შინაარსი

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. ძირითადი საშუალებები.....	12
5. მარაგები	12
6. დებიტორული მოთხოვნები.....	12
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები.....	13
9. სასესხო ვალდებულებები.....	13
10. კრედიტორული და საგადასახადო ვალდებულებები	13
11. ძირითადი საშუალებები.....	14
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
14. სხვა შემოსავალი/ხარჯი.....	10
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10

შპს „ფუდჯორჯია 2022“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფუდჯორჯია 2022“ (შემდგომში „კომპანია“) ს.ნ 406387137 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია 2022 წლის 9 ნოემბერს, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, 17 შინდისელი გმირის ქ., N 7, ბ. N 26

„კომპანიის“ მფლობელები არიან: დავით ლაბაძე პნ(01011022775) 66,7 % და თეონა ლომინაძე პნ(61001080327) 33,3 %.

„კომპანიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფქვილით და ბურღულეულით, საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით, საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლის აღიარება:

შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული/მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება;
- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;
- შესაძლებელია აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში უკვე გაწეული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება;
- აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;
- ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო მომავალში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის მოხდენის თარიღში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. განხორციელებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანგარიშგების წარდგენისას კომპანიის მიერ გამოყენებული სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები შეადგენს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2,5405	2,6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2,9753

მოგების გადასახადი

2017 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით კომპანიას მოგების გადასახადით იბეგრება:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კომპანიის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ზღვრულ ოდენობას.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას და გამოითვლება 15/85 პროპორციით.

შედეგად, კომპანიას არ გააჩნია დროებითი სხვაობები გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების სახით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

კომპანიას დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოეშობა საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევისთანავე. გადასახდელი დღგ, საგადასახადო ორგანოს თანხმობით მცირდება ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია წმინდა თანხებით. თუ მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ ადგილი აქვს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან მოიჯარეზე.

ყველა სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი იჯარის ვადის განმავლობაში.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, რომლის ნებისმიერ ცვლილება შესაძლებელია დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება. დივიდენდის დარიცხვა იწვევს კაპიტალის შემცირებას.

ხელფასები

ხელფასები და მასთან გათანაბრებული განაცემები (ფულადი და არაფულადი), დარიცხვის მეთოდით აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც თანამშრომლებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული სამუშაო.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის შედეგად. მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. კომპანია მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად, თუ მისი დაფარვის ვადა 12 თვეს არ აღემატება, სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს გრძელვადიან მოთხოვნებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება საქონლის მიწოდების/მომსახურების შეძენის შედეგად. ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. კომპანია ვალდებულებებს აღიარებს მოკლევადიანად, თუ მისი დაფარვის ვადა 12 თვეს არ აღემატება, სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს გრძელვადიან ვალდებულებებს.

მიღებული სესხები და საპროცენტო ხარჯები

მიღებული სესხების აღიარება ხდება თვითღირებულებით. სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტებია: ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე, რომელთა დაფარვის ვადაც სამ თვეს არ აღემატება.

მარაგები

მარაგების საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდათმობით. მარაგების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. კომპანია ძირითად საშუალებებს ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები 20 წელი

მანქანა დანადგარები 5-10 წელი

ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-10 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

4. ძირითადი საშუალებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირითადი საშუალებები	90 451	44 704
სულმარგები	61 154	44 704

5. მარაგები

მარაგები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მზ. პროდუქცია		
სხვა	3 191 465	1 835 546
სულმარგები	3 191 465	1 835 546

6. დებიტორული მოთხოვნები

დებიტორული მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები პროდუქციის რეალიზაციიდან	870 491	237 924
სულდებიტორული მოთხოვნები	870 491	237 924

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული		
ნაშთი მიმდინარე საბანკოანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	2 473 543	1 962 670
ნაშთი მიმდინარე საბანკოანგარიშზე უცხოურ ვალუტაში		
სულ	2 473 543	1 962 670

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სესხები	1 806 402	1 868 033
სულ	1 806 402	1 868 033

9. სასესხო ვალდებულებები

სასესხოვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-
სულ	-	-

10. კრედიტორული და საგადასახადო ვალდებულებები

კრედიტორული და საგადასახადო ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დვალანება მომწოდებლის მიმართ	1 439 195	1 305 284
საიჯროვალდებულებები	-	-
საგადასახადოვალდებულებები	-	37 636
გამოქმადვებელ შემოსავალ	-	51 181
სულ	1 439 195	1 394 101

11. ძირითადი საშუალებები

შემოსავალ	2024	2023
შემოსავალ პროდუქციის რეალზაციიდან	25 746 068	22 539 759
სულშემოსავალ	25 746 068	22 539 759

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
	22 324 845	20 069 771

საერთაშორისო მომსახურების თვითღირებულება	22 324 845	20 069 771
--	------------	------------

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	289 925	173 150
ცვითს და ამორტიზაციის ხარჯი	3 173	2 494
სულსაერთო ადმინისტრაციული ხარჯი	293 098	175 644

14. სხვა შემოსავალი/ხარჯი

სხვა შემოსავალი/ხარჯი	2024	2023
		-
		-

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლის ასახვაც საჭირო იქნებოდა განმარტებით შენიშვნებში ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის.